ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1

ქ. თბილისი 31.12 .2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაატა ლომაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ორივე ერთად შემდგომში ,,მხარეებად" წოდებულები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2.6. მოსარგებლე - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე

2.7. სადაზღვევო პოლისი - დაზღვევის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია შემსყიდველის მიერ შეძენილი სადაზღვევო დაფარვის დეტალები.

2.8. დაზღვეული ავტომობილი – პოლისში მითითებული შემსყიდველის კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტომობილი;

2.9. სადაზღვევო პერიოდი - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებასა და პოლისში (დაწყების და დასრულების თარიღების ჩათვლით)

2.10. სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი. მითითებულია პოლისში, თითოეული სექციისათვის ცალ-ცალკე;

2.11. აქსესუარი - ავტომობილის ნაწილი/დეტალი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ავტომობილის გამართულ მუშაობას, მათ შორის - აუდიო და ტელე-ვიდეოაპარატურა, გართობის სხვა საშუალებები, ტელეფონები, რაციები და კომუნიკაციის სხვა სისტემები;

2.12. ცალკეული დეტალები - კანტები, მოლდინგები და პლასტმასის სხვა დეტალები, დისკები და მისი საფარები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, ყველა სახის დეკორატიული დეტალები;

2.13. სადაზღვევო შემთხვევა – დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის შედეგადაც დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დამდგარი ზარალი;

2.14. სადაზღვევო პრემია - დაზღვევის ღირებულება (პრემია). მისი ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და პოლისში;

2.15. გამომუშავებელი პრემია - პრემიის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ

თარიღამდე განხრციელებული მომსახურების ღირებულებას, დღეზე დაანგარიშების სიზუსტით;
2.16. უფლებამოსილი მძღოლი - უფლებამოსილი მძღოლი: საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს, ფლობს შესაბამისი კატეგორიის მოქმედ მართვის მოწმობას და გააჩნია მართვის მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება;
2.17. ცალკეული დაზიანება - ავტომობილის დეტალის/ნაწილის შემთხვევითი დაზიანება, რომელიც არ არის გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით;
2.18. მესამე პირი - ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას მიადგაზიანი დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV66514110), შემსყიდველის ტექნიკური პირობით (დანართი #2) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
3.2. წინამდებარე ხელშეკრულებას ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართები წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს მიუხედავად მათზე მხარეთა ხელმოწერისა):
3.2.1. დანართი #1 - ავტოტრანსპორტის ჩამონათვალი, პრემიის ოდენობა, მითითება საგარანტიო სერვის ცენტრში შეკეთების პირობაზე;
3.2.2. დანართი #2 - შემსყიდველის ტექნიკური მოთხოვნები.

3.3. ავტომობილის ძარის დაზღვევა
3.3.1. ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის სრული ზარალი ან ნაწილობრივი ზარალი (სადაზღვევო ლიმიტის მიხედვით) ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში:
ა) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
ბ) ქურდობა, ძარცვა, გატაცება, ყაჩაღობა და მათი მცდელობა;
გ) ხანძარი, აფეთქება, თვითაალება, მეხის დაცემა;
დ) მესამე მხარეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, საგნების ვარდნა;
ე) სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა;
ვ) მინების, სარკეების, ცალკეული დეტალებისა და აქსესუარების ცალკეული დაზიანება ან/და ქურდობა;
3.3.2. თუ ზემოთ მითითებული მიზეზების გამო დაზარალდა შემსყიდველი:
ა) მიმწოდებელი ანაზღაურებს დაზღვეული ავტომობილის შეკეთების ხარჯებს ან
ბ) გადასცემს იდენტური მახასიათებლების ავტომობილს ან
გ) გადაგიხდით ზარალის ადეკვატურ თანხას.
3.3.3. მიმწოდებელი აგრეთვე ანაზღაურებს:
ა) სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხარჯებს;
ბ) ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის ავტოსადგომზე დაყოვნებით;
გ) სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის ევაკუირების ხარჯებს.

3.4. ავტომფლობელის მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა
3.4.1. პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება თანხა, რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (გარდა თქვენ წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან თქვენ მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაგეკისრებათ თქვენ ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად მესამე პირებისათვის მიყენებული ზარალისთვის, კერძოდ - მესამე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი და/ან მესამე პირის ქონებისთვის მიყენებული ზიანი;

3.4.2. ანაზღაურდება ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად სხვა პირების მიმართ წარმოშობილი პასუხისმგებლობა, კერძოდ დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს.

3.4.3. მესამე პირის დაღუპვის შემთხვევაში, დაზღვევა გავრცელდება ამ პირის სამართალმემკვიდრეზე.

3.5. მიმწოდებელი ანაზღაურებს თანხას (სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში):

3.5.1. თანხას, რომლის გადახდაც დაზღვეულ პირს დაეკისრება სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაზღვეული ავტომობილით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალისთვის, ან/და

3.5.2. თანხას, რომლის გადახდაზეც შეთანხმდებიან მხარეები შემსყიდველსა და დაზარალებულ მესამე პირს შორის სასამართლოს გარეშე (იხილეთ პუნქტი 3.6.);

3.5.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;

3.6. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გაღება (იურიდიული თუ სხვა) ან მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ მიმწოდებელთან წერილობითი შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებას იტოვებ არ აანაზღაურო შესაბამისი ზარალი;

3.7. თუ თანხა ანაზღაურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:

3.7.1. მესამე პირის ქონების დაზიანებისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:

ა) თუ მესამე პირის ქონება მთლიანად განადგურდა – ქონების საბალანსო ღირებულებას გამოაკლდება ნარჩენების ღირებულება;

ბ) თუ მესამე პირის ქონება არ არის სრულად განადგურებული, ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად;

3.8. მესამე პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:

3.8.1. დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;

3.8.2. დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;

3.8.3. დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზარალი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს
კანონმდებლობის შესაბამისად;

3.9. ერთი შემთხვევისაგან გამოწვეული დანაკარგი განხილულ იქნება როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა. ამ დაზღვევით არავის აქვს უფლება, ორჯერ ან მეტჯერ მიიღოს ანაზღაურება ერთი და იმავე ზიანისათვის;

3.10. თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო შემსყიდველზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადააჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორიულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

3.11. ავტომფლობელის მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის გამონაკლისები:

3.11.1. ზარალი მიადგა შემსყიდველის ქონებას;

3.11.2. ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.

3.12. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა

3.12.1. დაზღვეულად მიიჩნევა დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი მგზავრი, მძღოლის ჩათვლით;

3.12.2. ერთ პირზე 2'000 ლარის ფარგლებში ანაზღაურდება ხარჯები, დაკავშირებული მგზავრების ან/და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესებასთან ან/და გარდაცვალებასთან, რაც გამოწვეულია

დაზღვეული ავტომობილით მგზავრობისას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით და გამოვლინდება სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში;

3.13. სადაზღვევო შემთხვევისას:

ა) მიმწოდებელმა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი გამოკვლევების ჩატარება ჩვენ მიერ დანიშნულ ექიმთან. ამგვარი გამოკვლევები ჩატარდება ჩვენი ხარჯებით;

ბ) საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოითხოვოს სამედიცინო ინფორმაცია იმ ექიმებისგან, რომლებსაც დაშავებულისათვის სხვადასხვა დროს ჩაუტარებიათ სამედიცინო გამოკვლევა ან მკურნალობა, მიუხედავად ჩივილის მიზეზისა. დაშავებული ვალდებულია, ნება დართოს ექიმს, გადმოგვცეს ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს არ ავუნაზღაუროთ დაშავებულს ზარალი;

გ) ანაზღაურების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს ოფიციალური სამედიცინო დოკუმენტები. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლოა, მიმწოდებელმა დანიშნოს (საკუთარი ხარჯით) ექიმი/ ექსპერტი სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 435.1 (ოთხას ოცდათხუთმეტი ლარი და ათი თეთრი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ადგენენ და ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები, ყოველთვიურად, შესაბამის თვეში ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია: სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

7. მომსახურების პირობები

7.1. მომსახურების ვადა: 01.01.2016 – 03.01.2016წწ (თარიღების ჩათვლით), ყოველ დღე, 24 საათი, უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით.

7.2. ტერიტორიული საზღვრები: საქართველო.

7.3. პრემიის დაანგარიშებისას გამოყენებული წლიური პროცენტი: 2.89995.

7.4. ფრანშიზა - უპირობო 0%

7.4. ავტომობილის შეძენის/გასხვისების შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს შესაბამისი ცვლილება - 1 სამუშაო დღით ადრე. ახალი ავტომობილისთვის მომსახურების ღირებულების დაანგარიშებისას გამოყენებული იქნება 7.3. პუნქტში მითითებული წლიური პროცენტი.

7.5. ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაბამისი ზარალი ანაზღაურდება შესაბამისი ლიმიტის ფარგლებში

7.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სრული ზარალის შემთხვევაში, ზარალის ოდენობას გამოაკლდება ფრანშიზა და უკვე ანაზღაურებული თანხები (თუ სადაზღვევო შემთხვევა იყო და შემდგომში სადაზღვევო თანხა აღდგენილ არ იქნა);

7.7. მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებული თანხა არ გადააჭარბებს ზარალის მომენტისთვის დაზღვეული ავტომობილის საბალანსო ღირებულებას;

7.8. დაზიანებული ან/და მოპარული აქსესუარებისათვის თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევამდე ამ აქსესუარების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს სადაზღვევო თანხისა;

7.9. ზარალის ანაზღაურების მიზნით, მიმწოდებელს უფლება აქვს დაზღვეული ავტომობილის შეკეთების ხარჯები / ზარალის ადეკვატური თანხა გადაიცხოს პირდაპირ იმ სარემონტო/ შემკეთებელი ცენტრის ანგარიშზე, საიდანაც იქნება წარმოდგენილი დამდგარი ზარალის კალკულაცია (პოლისში აღნიშნული ფრანშიზის გამოკლებით);

7.10. ავტომობილის ქურდობა/გატაცებისას უფლება აქვს აანაზღაუროს ზარალი მოცდის პერიოდის, ორი თვის გასვლის შემდეგ, თუ ვერ მოხერხდება მოპარული/ გატაცებული ავტომობილის დაბრუნება;

7.11. სარემონტო ხარჯების კალკულაცია. მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯები დგინდება ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით

7.12. თუ დაზღვეულ ავტომობილს აქვს მწარმოებლის შესაბამისი ცენტრის გარანტია, ასანაზღაურებელი სარემონტო/ აღდგენის /შეცვლის ხარჯის განსაზღვრისას დავეყრდნობით ლიცენზირებული სარემონტო ცენტრის კალკულაციას. თუ დაზღვეულ ავტომობილს არ აქვს მწარმოებლის შესაბამისი გარანტია, შეფასდება არსებული საბაზრო ფასებიდან გამომდინარე და მასში გათვალისწინებული არ იქნება ლიცენზირებული სარემონტო ცენტრის კალკულაცია და ფასები;

7.13. თუ დაზღვეული ავტომობილის არ აქვს ცენტრის გარანტია და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ნაწილები არ ექვემდებარება აღდგენას – ჩვენ ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას;

7.14. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი იღებს კომპენსაციას დამნაშავე პირისგან, ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ამ კომპენსაციის ოდენობით;

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.

8.4. დაფინანსების წყარო: 2016 წლის საკუთარი სახსრები;

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;

9.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან გამოწვეული მხარეების შეცდომებით და დაუდევრობებით და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

11.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

11.3. შემსყიდველი ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოს დაზღვეული ავტომობილის დაზიანება;

11.4. მიიღოს, გონივრულობის ფარგლებში, ყველა საჭირო ზომა მოპარული ავტომობილის დასაბრუნებლად და ზარალის შესამცირებლად;

11.5. დაუკავშირდეს მიმწოდებელს თუ ამ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე პირის წინააღმდეგ ტარდება იურიდიული ზომები სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე;

11.6. არ აიღოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე მიმწოდებელთან წერილობითი შეთანხმების გარეშე;

11.7. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებლის მიერ ანაზღაურდება (ფრანშიზის გამოკლებით) დაზიანებული დეტალების შეცვლა, შემსყიდველი ვალდებულია გადასცეს დაზიანებული ნაწილების განკარგვის უფლება;

11.8. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაზიანებული ავტომობილის აღდგენა და მიმწოდებელი ანაზღაურებს ზარალს სრულად (ფრანშიზის გამოკლებით), შემსყიდველი ვალდებულიაგადასცეს დაზიანებული ავტომობილის განკარგვის უფლება;

11.9. არ დაიწყოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის შეკეთება მიმწოდებელთან შეთანხმების გარეშე;

11.10. მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ზარალის დარეგულირებისათვის აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე, საპასუხო ქმედების განხორციელებამდე.

11.11. გააცნოს უფლებამოსილ მძღოლებს წინამდებარე დაზღვევის პირობები;

11.12. დაზღვევამდე წარადგინოს ავტომობილში დამონტაჟებული არა-ქარხნული დეტალების/ მოწყობილობების ჩამონათვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს უარი თქვას აანაზღაუროს ზარალი, გამოწვეული აღნიშნული არა-ქარხნული დეტალების / მოწყობილობების დაზიანებით, ქურდობით.

11.13. დაზღვეული ავტომობილი უნდა იმყოფებოდეს გამართულ მდგომარეობაში. მიმწოდებელს აქვს უფლება, მოახდინოს დაზღვეული ავტომობილის ინსპექტირება ნებისმიერ დროს, თქვენთვის აღნიშნულის თაობაზე სამი დღით ადრე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;

11.14. შემსყიდველი ვალდებულია, დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინოს მიმწოდებლს დაზღვეული ავტომობილის სხვა პირის მფლობელობაში გადაცემის, ავტომობილის გამოყენების და განაცხადში მითითებული სხვა პარამეტრების შეცვლის შესახებ;

11.15. წერილობითი განცხადება ზარალის შესახებ მიმწოდებელს უნდა წარედგინოს სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებას იტოვებს არ აანაზღაუროს ზარალი

11.16. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისათვის დაზღვეული ავტომობილის საბალანსო ღირებულება აღმოჩნდა სადაზღვევო თანხაზე მეტი, მაშინ ზარალის ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

11.17. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

11.18. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

11.19. შემსყიდველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევისას დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მიმწოდებლის 24 საათიან ცხელ ხაზს. +995 322 505 111; მიმწოდებლის სერვის ცენტრის მენეჯერი დაუყოვნებლივ ჩაერთვება დარეგულირების პროცესში და შემსყიდველს გაუწევს სათანადო დახმარებასა და კონსულტაციას. სერვის ცენტრის მენეჯერი გამოიძახებს ევაკუატორს დაზღვეული ავტომობილის უსაფრთხო ადგილას გადასაყვანად (საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომელთა ნებადართული მასა არ აღემატება 3,5 ტონას).

11.20. მიმწოდებლის სერვის ცენტრის მენეჯერის მისვლამდე დაუშვებელია დაზღვეული ავტომობილის გადაადგილება (გარდა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ანაზღაურებაზე).

11.21. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შემსყიდველი ვალდებულია გამოიძახოს საპატრულო პოლიცია და წარადგინოს შემთხვევის ამსახველი ყველა დოკუმენტი, მათ შორის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზღვეული ავტომობილის მძღოლის სიფხიზლის ფაქტს და ვინაობას.

11.22. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევა, თუ:

11.22.1. ავტომობილი გადატვირთულია, მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს ან გამოიყენება შეუსაბამო პირობებში (ავტომობილის გამოყენება ადგილებში, რომლებიც არაა განკუთვნილი ავტომობილების მოძრაობისთვის).

11.22.2. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე მხარის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;

11.22.3. ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;

11.22.4. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი ავტომობილის მართვისას იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე მხარის მიზეზით)

11.22.5. რბოლებში მონაწილეობა, დაზიანება დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road)

11.22.6. დაზღვეულ ავტომობილს მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დაზღვეული ავტომობილი გაიტაცეს ან მოიპარეს;

11.22.7. დაზღვეული ავტომობილი იძებნება და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი) შესაბამის მახასიათებლებს, რომელსაც მოვიპოვებთ სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით;

11.22.8. გაუფასურება; ამორტიზაცია; ცვეთა; მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით/ რისკებით, რაც არ არის გამოწვეული დაზღვეული რისკებით;
11.22.9. ავტომობილის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი გაუფასურება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს გამოწვეულია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული შეკეთებით.
11.22.10. კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალების შედეგად გამოწვეული დაზიანება/ ზარალი
11.22.11. კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით
11.22.12. ნებისმიერი ისეთი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით
11.22.13. ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით
11.22.14. ინტერიერის, სავარძლების, შალითების და ხალიჩების დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაზიანება გამოწვეულია ამ ხელშეკრულებით დაზღვეული სადაზღვევო შემთხვევებით
11.22.15. უხარისხო გზით გამოწვეული სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების ან დისკების ცალკეული დაზიანება
11.22.16. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.
11.22.17. ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
11.22.18. ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, საომარი მოქმედებით;
11.22.19. სამოქალაქო მღელვარებით;
11.22.20. სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ), უზურპირებული ხელისუფლების მიერ, როდესაც ძალაუბლებას უკანონოდ ხელში ირებს პირი ან პირთა ჯგუფი
11.22.21. ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
11.22.22. სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი პასუხისმგებლობა ისედაც იგულისხმებოდა უხელშეკრულებოდ.

11.23. მიმწოდებელი ვალდებულია:
11.8.1. აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად;

11.8.2. შემსყიდველის სახელით წარმართოს და გავაკონტროლოთ ზარალის დარეგულირების პროცესი, მათ შორის მესამე მხარესთან ურთიერთობისას შესაბამისი მინდობილობის შემთხვევაში.

11.8.3. საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველთან შეთანხმებით გააკონტროლოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი იურიდიული პროცესი;

11.8.4. გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მიმწოდებლის მიერ ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღებიდან და ზარალის ოდენობაზე შეთანხმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
11.9. სხვა პირობები:
11.9.1. თუ შემსყიდველი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), მიმწოდებელს უფლება აქვს არ აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც შემსყიდველი შეგნებულად ზრდის ზარალის ოდენობას ან მიმწოდებელს აწვდის ყალბ ინფორმაციას;

11.9.2. თუკი წინამდებარე ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა პოლისით, მიმწოდებელი გადაიხდის ზარალს პროპორციულად, მიმწოდებლის სადაზღვევო თანხის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულად;

11.10. რეგრესი:
11.10.1. შემსყიდველი ან/და მოსარგებლე ვალდებულნი არიან გადასცენ ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ გადმოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის;

11.10.2. თუ შემსყიდველმა ან მოსარგებლემ უარი განაცხადეს მიმწოდებლისთვის რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, იმ ზარალზე რომელიც უკვე ანაზღაურდა, ან ასეთი უფლების

შესრულება შეუძლებელი გახდა შემსყიდველის ქმედებით, მაშინ მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება;
11.10.3. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ავანაზღაურებთ ზარალს, თუ თქვენ და მოსარგებლე იცავთ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ან/და მოსარგებლე არღვევთ ამ ხელშეკრულების პირობებს, არ ასრულებთ ამ პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ან გვაწვდით დაზღვევასთან დაკავშირებულ არასწორ ინფორმაციას, ჩვენ უფლება გვაქვს გადავცეთ ინფორმაცია თქვენ შესახებ საერთო საინფორმაციო ბაზაში, რომელზედაც ხელი მიუწვდებათ სხვა სადაზღვევო კომპანიებსაც;

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მიმწოდებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო დავალიანებული თანხის 0.20%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან;
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.3. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ნაწილის ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.4. პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო დავალიანებული პრემიის 0.20%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ გათავისუფლებთ ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან;
12.5. პრემიის გადახდა ხორციელდება ამ ხელშეკრულების მე-8 პუნქტის მოცემულობის შესაბამისად. თუ პრემიის გადახდის ვადას გადააცილებთ 14 (თოთხმეტი) დღით, მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შემსყიდველისთვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე და არ აანაზღაუროს მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები. ხოლო 30 (ოცდაათი) დღის შემდეგ უფლება აქვს გააუქმოს დაზღვევის ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.
12.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი -

შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ს/კ 203860642	მიმწოდებელი: სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაიჰოლდინგი“ მის.: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. №67 ს/კ 204426674 სს "თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE13TB1100000005700652
გიორგი კაკაურიძე თავმჯდომარის მოადგილე	პაატა ლომაძე გენერალური დირექტორი

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: 93 ერთეული ავტომობილის სადაზღვევო მომსახურება

1. <u>რისკები:</u>

I - ავტოკასკო: ავტომობილის გატაცების მცდელობის დაზღვევა (ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა); ავტომობილის დაზიანების ან განადგურების (სრული დაზიანება) დაზღვევა (ავტოსაგზაო შემთხვევა, ხანძარი, თვითაალება, მეხის დაცემა, აფეთქება, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, რაიმე საგნის დაცემა, სტიქიური უბედურება (მოულოდნელი მოვლენა, სეტყვა, მიწისძვრა); განადგურებად ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი საბალანსო ღირებულების 75%-ს ან მეტს შეადგენს, ან განადგურებულია ავტომობილის 75%-ზე მეტი. განადგურების შემთხვევაში ანაზღაურდება ავტომობილის საბალანსო ღირებულება სრულად. დამატებითი აღჭურვილობის, მინების და სარკეების და ა.შ. ქურდობის დაზღვევა; სადაზღვეო შემთხვევისას ავტოსატრანსპორტის ევაკუირების ხარჯი.

<u>შენიშვნა:</u> ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება, რომელზეც ვრცელდება საგარანტიო მომსახურება, უნდა განხორციელდეს შესაბამის სერვის ცენტრში; ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება, რომელზეც არ ვრცელდება საგარანტიო მომსახურება, უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებულ სერვის ცენტრში.

II - მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობა: დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებული მესამე პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის და/ან ქონებისთვის მიყენებული ზიანი. <u>ლიმიტი არანაკლებ 10 000 ლარი.</u>

III - მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა: ავტოსაგზაო შემთხვევის დროს უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა.
<u>ლიმიტი არანაკლებ 2000 ლარი ერთ პირზე.</u>

2.ავტოტრანსპორტის ჯამური საბალანსო ღირებულება: 1 830 479.97 ლარი.

3.დაზღვევის პერიოდი: 01.01.2016 – 03.01.2016 წწ, ყოველდღიურად, 24სთ, უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით.

4.დაზღვევის ტერიტორია: საქართველო.

5.უპირობო ფრანშიზა: ნულოვანი.

6.უფლებამოსილი მძღოლი: საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს, ფლობს შესაბამისი კატეგორიის მოქმედ მართვის მოწმობას და გააჩნია მართვის მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება.

7.ანგარიშსწორების პირობები:

- ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად; თუ მომსახურება ხორციელდება არასრულ თვეზე, ასანაზღაურებელი თანხა დაანგარიშდება დღეების მიხედვით.
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
- საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;
- დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.